შპს „მშენ-ექსპერტი“ - LTD „BUILD-EXPERT“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის.: ქ. თბილისი, მიროტაძის ქუჩა №1, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 200266559

GAC – IB – 0121

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0121
ინსპექტირების ანგარიშის №: FT-514/09/20-I514/2
გაცემის თარიღი: “17” 11 2020 წელი
ინსპექტირების თარიღი: 15.11÷17.11.2020 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია: ქ. თბილისში ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №30-ში (ს/კ 01.14.05.008.279) ასაშენებელი სასკოლო კომპლექსის აუზის პროექტი

ვამტკიცებ,
დირექტორი, პროფესორი _____
მ. ფიქარიშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „საქართველოს საერთაშორისო არქიტექტურისა და სამშენებლო-საპროექტო კომპანია“; ს/კ 406102195 მინდობილი პირი: იანძუნ დოუ
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №514/09/20-I514 (10.09.2020 წ) ხელშეკრულება №C-514/09/20-I514 (10.09.2020 წ)
ინსპექტირების სფერო:	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №30-ში (ს/კ 01.14.05.008.279) ასაშენებელი სასკოლო კომპლექსის აუზის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება.

თბილისი
2020 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი და შენიშვნები 4
5. დასკვნა 9



ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***ალექსანდრე ნატროშვილი*** _____

წარმოდგენილი მასალები

1. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი (1 ალბომი და მისი შესაბამისი ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში);
2. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
3. კონსტრუქციული გაანგარიშება (პროგრამაში Lira-sapr);
4. პროექტის არქიტექტურული ნაწილი (1 ალბომი და მისი შესაბამისი ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში).

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. პროექტირების ნორმები, პნ 03.01-09 – "ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები";
2. პროექტირების ნორმები, პნ 01.01-09 – "სეისმომედეგი მშენებლობა";
3. პროექტირების ნორმები, პნ 02.01-08 – "შენობებისა და ნაგებობების ფუძეები";
4. პროექტირების ნორმები, პნ 01.05-08 – "სამშენებლო კლიმატოლოგია";
5. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП 2.01.07-85 – დატვირთვები და ზემოქმედებები;
6. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП II-23-81* – ფოლადის კონსტრუქციები;
7. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП II-28-73 – სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან;
8. СНиП III-4-80 – "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";
9. B-E – TP-G05/16 – ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №30-ში (ს/კ 01.14.05.008.279) ასაშენებელი სასკოლო კომპლექსის აუზის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, დამუშავებული ინდ. მეწარმე „ექსპერტი-კონსტრუქტორი თ. ლაზარიაშვილი“-ს მიერ (კონსტრუქტორი: თ. ლაზარიაშვილი). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს მიერ (მთ. გეოლოგი: ზ. კვაჭანტირაძე; ინჟინერ-გეოლოგები: ა. პასიკაშვილი, მ. ბურდული).

საპროექტო შენობა ორსართულიანია. შენობა კარკასულია. შენობის მიწისზედა მზიდი კარკასი კომბინირებულია და ძირითადად შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებით (აუზების ნაწილის სახურავის კონსტრუქციების გარდა). მზიდ ელემენტებში (სვეტები, რიგელები) გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი. არმირება ხორციელდება ცალკეული ღეროებით. გამოყენებულია A500c კლასის არმატურის ღეროები, საკიდებისათვის – A240c კლასის არმატურა.

შენობის აუზების ნაწილის სახურავისათვის გამოყენებულია ფოლადის კონსტრუქციები. აქ მზიდი კონსტრუქციები წარმოდგენილია სახურავის ნივნივა ფერმების სახით, რომლებიც შესრულებულია ფოლადის კუთხოვანებისაგან. სახურავის მზიდ ფერმებს შორის დაგეგმარებულია ფოლადის კავშირები. კავშირებში გამოყენებულია ფოლადის კვადრატული მილების პროფილები. შენობის სახურავი ეწყობა სენდვიჩ-პანელებით, ფოლადის გრძივებზე. ფოლადის კონსტრუქციებში გამოყენებულია ელემენტების ელ. შედუღებით შეერთება. ფოლადის მზიდი ელემენტების რკინაბეტონის კონსტრუქციებთან კავშირისათვის გამოყენებულია მათში ჩაყოლებული ფოლადის ჩასატანებელი დეტალები. კედლების შევსება ხორციელდება ბეტონის მცირე ზომის სამშენებლო ბლოკის წყობით.

შენობის საძირკვლები მონოლითური რკინაბეტონისაა, მცირე ჩაღრმავების, ძირითადად ცალკე მდგომი (წერტილოვანი) ტიპის. შენობის ერთ-ერთი გარე კედლის ქვეშ დაგეგმარებულია ლენტური ტიპის საძირკველი. წერტილოვანი საძირკვლები დაკავშირებულია ერთმანეთთან (და ასევე ლენტურ საძირკველთან) მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის კოჭებით. მიწისქვეშა კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი, წყალშეუღწევადობის მარკით W8. არმირება ხორციელდება A500c კლასის არმატურის ღეროებით, საკიდები – A240c კლასის არმატურით.

ფუძე-გრუნტად, გეოლოგიური კვლევის შედეგების შესაბამისად, გამოყენებულია ფენა 4, სგე 3–ძირითადი ქანები–თიხოვანი ქვისაქვების და თხელშრეობრივი არგილითების მორიგეობა, ნაკლებად გამოფიტული. სიმკვრივე – ρ=2.34 გ/სმ^3;

დრეკადობის მოდული E=2450 მპა; სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში – $R_{c,n}$=130,0 კგძ/სმ^2. გრუნტის წყალი ტერიტორიაზე გამოვლენილი არ არის. სამშენებლო მოედნის სეისმიურობა შეადგენს 8 ბალს.

შენობა და მისი კონსტრუქციული ელემენტები გაანგარიშებულია I და II ზღვრული მდგომარეობებისათვის, დატვირთვების ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემისათვის. გაანგარიშებები შესრულებულია ავტომატიზირებული საანგარიშო კომპლექსის Lira-sapr-ის გამოყენებით. საანგარიშო მოდელი თან ახლავს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას. მოდელში გამოყენებული საანგარიშო სქემა სრულად შეესაბამება საპროექტო ნაგებობას. გაანგარიშებისას გათვალისწინებული დატვირთვების მნიშვნელობები (მუდმივი, სასარგებლო, თოვლის, ქარის და სეისმიური დატვირთვები) თანხვედრაშია პროექტირების ნორმების მოთხოვნებთან. პროექტით შერჩეული კონსტრუქციული ელემენტების განივკვეთები და მათი სიმტკიცის მახასიათებლები შესაბამისობაშია გაანგარიშების შედეგებთან და უზრუნველყოფენ ნაგებობის სიმტკიცესა და მდგრადობას მოსალოდნელ (ნორმებით განსაზღვრულ) დატვირთვებსა და ზემოქმედებებზე.

საპროექტო დოკუმენტაციის შესრულების ხარისხი კარგია. გრაფიკული ნაწილი დამუშავებულია დაწვრილებით და ამომწურავად, კონსტრუქციული დეტალების ასახვით. საპროექტო დოკუმენტაცია შესრულებულია მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით და მის მიმართ ექსპერტიზას გააჩნია მხოლოდ მექანიკური ხასიათის შეცდომებთან და უზუსტობებთან დაკავშირებული შენიშვნები.

ინსპექტირებაზე წარმოდგენილი პროექტი გაკორექტირებული იქნა 2020 წლის 1 ოქტომბრის №FT-514/09/20-I514/1 შუალედური ანგარიშის მიხედვით, რომელშიც აღნიშნული იყო თავდაპირველ ინსპექტირებაზე წარმოდგენილი პროექტის მიმართ შემდეგი შენიშვნები:

1. **ფურცელი კრ-01 – „განმარტებითი ბარათი, ნახაზების ჩამონათვალი“.**

– განმარტებითი ბარათში გვაქვს რამდენიმე მექანიკური ხასიათის უზუსტობა, რომლების გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობთ საჭიროა შესწორდეს. კერძოდ:

ა) გეოლოგიური პირობების მიმოხილვაში შეცდომითაა მითითებული სგე 3-ის სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე. გეოლოგიური კვლევის შედეგების თანახმად, ეს სიდიდე უნდა იყოს 130 კგძ/სმ^2, ნაცვლად მითითებული 4.0 კგძ/სმ^2-ისა (ეს მნიშვნელობა ეკუთვნის სგე-2-ის პირობით საანგარიშო წინაღობას);

ბ) საძირკვლების მიმოხილვაში (პუნქტი 1) შეცდომითაა მითითებული ბეტონის მომზადების სისქე. ნახაზების შესაბამისად ის უნდა იყოს 5 სმ, ნაცვლად მითითებული 10 სმ-ისა. აქვე საჭიროა მიეთითოს მომზადების ბეტონის კლასიც. რეკომენდაციას გაძლევთ გამოიყენოთ არანაკლებ B20 კლასის ბეტონი;

გ) აქვე, საძირკვლების მიმოხილვაში (პუნქტი 1), შეცდომითაა მითითებული საძირკვლებისათვის გამოყენებული ბეტონის წყალშეუღწევადობის მარკა. ნახაზების შესაბამისად აქ უნდა იყოს W8, ნაცვლად მითითებული W4-ისა. გარდა ამისა, მიზანშეწონილია აუზებისთვისაც გამოიყენებულ იქნას W8 წყალშეუღწევადობის ბეტონი და შესაბამისი მითითება დაემატოს განმარტებით ბარათს.

2. ფურცელი კრ-03 – „კონსტრუქციული ჭრილები“.

– ფურცელზე მოცემულია ჭრილები 1-1, 2-2, 3-3 და 4-4. ეს ჭრილები არ ემთხვევა კონსტრუქციულ ნაწილის შემდგომ ფურცლებზე მოცემულ გეგმებზე მითითებულ ჭრილებს. ასევე არ არის შესაბამისობა არქიტექტურული ნაწილის გეგმებზე მითითებულ ჭრილებთან. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ საჭიროა ამ ფურცელს წინ უძღოდეს გეგმების ნახაზები, რომლებზეც დატანილი იქნება ზემოთაღნიშნული ჭრილები, ან ნომრების ნაცვლად ჭრილებზე მიეთითოს იმ დაკვალვის ღერძების დასახელებები, რომლის სიახლოვესაც ისინი არიან გატარებულნი (ისე, როგორც მითითებულია მომდევნო კრ-04 ფურცელზე მოცემულ გრძივი ჭრილებისათვის).

3. ფურცელი კრ-07 – „მონოლითური რ/ბ საძირკვლების არმირების ჭრილები“.

– წერტილოვან საძირკვლებში (მწს–1, 2, 3, 4, 5, 6, 7), სვეტებისათვის დატოვებული ნაშვერების სიგრძეები ოდნავ მოკლეა. არმატურის ღეროების ურთიერთგადადებით გადაბმის დროს ურთიერთგადადების ზომა, A500c კლასის არმატურისა და B25 კლასის ბეტონის შემთხვევაში, არის: $L_{გად.}$=(0.9*4500/148+11)d=38.4d. შესაბამისად, დ=25 მმ არმატურისათვის ეს ზომა მოკლე ნაშვერებისათვის (პოზ. 5-ისათვის) უნდა შეადგენდეს 38.4*25=960 მმ-ს, მითითებული 800 მმ-ის ნაცვლად. არმატურის ღეროების 50%-ის წანაცვლებით გადაბმის უზრუნველსაყოფად, გრძელი ნაშვერების (პოზ. 6) სიგრძე უნდა იყოს 1.5*960=1440 მმ, ნაცვლად მითითებული 800+500=1300 მმ-ისა.

4. ფურცელი კრ-08 – „მონოლითური რ/ბ საძირკვლების არმირების ჭრილები.“

– შენიშვნა შეეხება კვეთ ა-ა-ზე მოცემულ არმირების სქემას. ნორმატიული დოკუმენტების მითითებით ცალუღები (საკიდები) უნდა შემოევლოს გრძივ ღეროებს,

მაქსიმუმ ერთის გამოტოვებით. ამ კვეთისათვის აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ვფიქრობთ საჭიროა მოპირდაპირე ღეროების დამაკავშირებელი განივი არმატურის ღეროების (ე.წ. "ჩანგლების") დამატება, ან ერთის ნაცვლად რამდენიმე ცალუღის (საკიდის) გამოყენება.

5. ფურცელი კრ-12 – „მონოლითური რ/ბ სვეტების არმირების ჭრილები."

შენიშვნები იგივე ხასიათისაა, რაც შენიშვნა 3-შია მოცემული, კერძოდ:

– სვეტების არმირების სქემებზე, გადაბმის ადგილებში მითითებული არმატურის ღეროების ურთიერთგადადების ზომები ოდნავ შემცირებულია. არმატურის ღეროების ურთიერთგადადებით გადაბმის დროს ურთიერთგადადების ზომა, A500c კლასის არმატურისა და B25 კლასის ბეტონის შემთხვევაში, არის: $L_{გად.}$=(0.9*4500/148+11)d=38.4d. გარდა ამისა, არმატურის ღეროების 50%-ის წანაცვლებით გადაბმის უზრუნველსაყოფად, ღეროების ნახევრისათვის ეს ზომა უნდა დაგრძელდეს 1.5-ჯერ, ანუ გახდეს 1.5*38.4d=57.6d.

შესაბამისად, არმატურის ღეროების ურთიერთგადადების მცირე და დიდი ზომები იქნება:

დ=25 მმ ღეროებისათვის: 960 მმ და 1440 მმ;

დ=20 მმ ღეროებისათვის: 770 მმ და 1150 მმ;

– შესწორების შეტანისას გაითვალისწინეთ, რომ საკიდების გახშირების ზონა (ბიჯით 100 მმ) უნდა გავრცელდეს არმატურის პირგადადებით გადაბმის მთელს მონაკვეთზე. აქედან გამომდინარე საკიდების გახშირების ზომა სვეტების ქვედა ნაწილში უნდა იყოს:

დ=25 მმ ღეროებით არმირებისას–არანაკლებ 1440 მმ;

დ=20 მმ ღეროებით არმირებისას–არანაკლებ 1150 მმ.

6. ფურცლები კრ-24 – „მონოლითური რიგელების არმირების ჭრილები".

კრ-25 – „მონოლითური რიგელების არმირების კვეთები".

კრ-26 – „მონოლითური რიგელების არმირების სპეციფიკაცია".

ამ ფურცლებზე მექანიკური უზუსტობებით გამოწვეული შეუსაბამობებია, რომლებიც გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გასწორდეს კერძოდ:

– შეუსაბამობაა მრ-7-ის ქვედა გრძივი არმატურის დიამეტრისათვის. ჭრილზე მოცემულია დ=18 მმ, კვეთზე – დ=20მმ, სპეციფიკაციაში – დ=18 მმ. შესაბამისობის აღსადგენად შეტანილ იქნას შესაბამისი შესწორება;

– შეუსაბამობაა მრ-9-ის ქვედა გრძივი არმატურის დიამეტრისათვის. ჭრილზე მოცემულია დ=20 მმ, კვეთზე – დ=18 მმ, სპეციფიკაციაში – დ=18 მმ. შესაბამისობის აღსადგენად შეტანილ იქნას შესაბამისი შესწორება;

– კრ-25 ფურცელზე, მარცხენა ქვედა კუთხეში მოცემული კვეთის სათაური უნდა იყოს "კვეთი 1-1 (მრ-10)", ნაცვლად მითითებული – "კვეთი 1-1 (მრ-9)"-ისა;

– კრ-25 ფურცელზე, მარცხენა ქვედა ნაწილის შუაში მოცემული კვეთის სათაური უნდა იყოს "კვეთი 2-2 (მრ-10)", ნაცვლად მითითებული – "კვეთი 1-1 (მრ-10)"-ისა;

– კრ-25 ფურცელზე, მაჯვენა ქვედა კუთხეში მოცემული კვეთის სათაური უნდა იყოს "კვეთი 3-3 (მრ-10)", ნაცვლად მითითებული – "კვეთი 2-2 (მრ-10)"-ისა;

7. ფურცლები **კრ-31 – „მონოლითური რიგელების არმირების ჭრილები".**

კრ-32 – „მონოლითური რიგელების არმირების კვეთები".

კრ-33 – „მონოლითური რიგელების არმირების სპეციფიკაცია".

ამ ფურცლებზე მექანიკური უზუსტობებით გამოწვეული შეუსაბამობებია, რომლებიც გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გასწორდეს კერძოდ:

– შეუსაბამობაა მრ-7-ის ქვედა გრძივი არმატურის დიამეტრისათვის. ჭრილზე მოცემულია დ=18 მმ, კვეთზე – დ=20მმ, სპეციფიკაციაში – დ=18 მმ. შესაბამისობის აღსადგენად შეტანილ იქნას შესაბამისი შესწორება;

– შეუსაბამობაა მრ-11-ის ქვედა გრძივი არმატურის დიამეტრისათვის. ჭრილზე მოცემულია დ=18 მმ, კვეთზე – დ=20 მმ, სპეციფიკაციაში – დ=18 მმ. შესაბამისობის აღსადგენად შეტანილ იქნას შესაბამისი შესწორება.

საერთო მითითება:

ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში (საჭიროებისამებრ), განხორციელებული კორექტირებები ასახულ უნდა იქნეს პროექტის სპეციფიკაციებში, მასალათა უწყისებში და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

ზემოთ აღნიშნული შენიშვნები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7 გათვალისწინებული იქნა პროექტის ავტორის მიერ. შპს „საქართველოს საერთაშორისო არქიტექტურისა და სამშენებლო-საპროექტო კომპანია"-ს მიერ ასევე წარმოდგენილია შენიშვნებზე პასუხები (იხ. დანართი 3 გვ.) და შენიშვნების მიხედვით გაკორექტირებული პროექტი. წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.

დანართი – პროექტი თან ერთვის დასკვნას ელ-ვერსიით.

დასკვნა

ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №30-ში (ს/კ 01.14.05.008.279) ასაშენებელი სასკოლო კომპლექსის აუზის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი პასუხობს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია განხორციელებისათვის.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი: /ა. ნატროშვილი /

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი: /მ. წიქარიშვილი/

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /მ. წიქარიშვილი/

ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N30-ში (ს/კ 01.14.05.008.279) ასაშენებელი სასკოლო კომპლექსის აუზის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირების შენიშვნებზე პასუხები

N	ინსპექტირების შენიშვნები	პასუხები
1.	**ფურცელი კრ-01 – „განმარტებითი ბარათი, ნახაზების ჩამონათვალი“.** – განმარტებითი ბარათში გვაქვს რამოდენიმე მექსნიკური ხასიათის უზუსტობა, რომლების გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობთ საჭიროა შესწორდეს. კერძოდ: ა) გეოლოგიური პირობების მიმოხილვაში შეცდომითაა მითითებული სგე 3-ის სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე. გეოლოგიური კვლევის შედეგების თანახმად, ეს სიდიდე უნდა იყოს 130 კგძ/სმ2, ნაცვლად მითითებული 4.0 კგძ/სმ2-ისა (ეს მნიშვნელობა ეკუთვნის სგე-2-ის პირობით საანგარიშო წინაღობას); ბ) საძირკვლების მიმოხილვაში (პუნქტი 1) შეცდომითაა მითითებული ბეტონის მომზადების სისქე. ნახაზების შესაბამისად ის უნდა იყოს 5 სმ, ნაცვლად მითითებული 10 სმ-ისა. აქვე საჭიროა მიეთითოს მომზადების ბეტონის კლასიც. რეკომენდაციას გაძლევთ გამოიყენოთ არანაკლებ B20 კლასის ბეტონი; დ) აქვე, საძირკვლების მიმოხილვაში (პუნქტი 1), შეცდომითაა მითითებული საძირკვლებისათვის გამოყენებული ბეტონის წყალშეუღწევადობის მარკა. ნახაზების შესაბამისად აქ უნდა იყოს W8, ნაცვლად მითითებული W4-ისა. გარდა ამისა, მიზანშეწონილია აუზებისთვისაც გამოიყენებულ იქნას W8 წყალშეუღწევადობის ბეტონი და შესაბამისი მითითება დაემატოს განმარტებით ბარათს.	შენიშვნა მისაღებია და გასწორდება კორექტირებულ პროექტში.
2.	1. **ფურცელი კრ-03 – „კონსტრუქციული ჭრილები“.** – ფურცელზე მოცემულია ჭრილები 1-1, 2-2, 3-3 და 4-4. ეს ჭრილები არ ემთხვევა კონსტრუქციულ ნაწილის შემდგომ ფურცლებზე მოცემულ გეგმებზე მითითებულ ჭრილებს. ასევე არ არის შესაბამისობა არქიტექტურულ ნაწილის გეგმებზე მითითებულ ჭრილებთან. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ საჭიროა ამ ფურცელს წინ უძღოდეს გეგმების ნახაზები, რომლებზეც დატანილი იქნება ზემოთაღნიშნული ჭრილები, ან ნომრების ნაცვლად ჭრილებზე მიეთითოს იმ დაკვალვის ღერძების დასახელებები, რომლის სიახლოვესაც ისინი არიან გატარებულნი (ისე, როგორც მითითებულია მომდევნო კრ-04 ფურცელზე მოცემულ გრძივი ჭრილებისათვის).	შენიშვნა სამართლიანია და ჭრილების სათაური მოწესრიგდება არქიტექტურული ჭრილების შესაბამისად.
3.	**ფურცელი კრ-07 – „მონოლითური რ/ბ საძირკვლების არმირების ჭრილები“.** – წერტილოვან საძირკვლებში (მწს–1, 2, 3, 4, 5, 6, 7), სვეტებისათვის დატოვებული ნაშვერების სიგრძეები ოდნავ მოკლეა. არმატურის ღეროების ურთიერთგადადებით გადაბმის დროს ურთიერთგადადების ზომა, A500c კლასის არმატურისა და	შენიშვნა მიღებულია და არმატურის ნაშვერები დაგრძელდება შენიშვნის შესაბამისად.

	B25 კლასის ბეტონის შემთხვევაში, არის: $L_{გად.}$=(0.9*4500/148+11)d=38.4d. შესაბამისად, დ=25 მმ არმატურისათვის ეს ზომა მოკლე ნაშვერებისათვის (პოზ. 5-ისათვის) უნდა შეადგენდეს 38.4*25=960 მმ-ს, მითითებული 800 მმ-ის ნაცვლად. არმატურის ღეროების 50%-ის წანაცვლებით გადაბმის უზრუნველსაყოფად, გრძელი ნაშვერების (პოზ. 6) სიგრძე უნდა იყოს 1.5*960=1440 მმ, ნაცვლად მითითებული 800+500=1300 მმ-ისა.	
4.	**ფურცელი კრ-08 – „მონოლითური რ/ბ საძირკვლების არმირების ჭრილები."** – შენიშვნა შეეხება კვეთ ა-ა-ზე მოცემულ არმირების სქემას. ნორმატიული დოკუმენტების მითითებით ცალუღები (საკიდები) უნდა შემოევლოს გრძივ ღეროებს, მაქსიმუმ ერთის გამოტოვებით. ამ კვეთისათვის აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ვფიქრობთ საჭიროა მოპირდაპირე ღეროების დამაკავშირებელი განივი არმატურის ღეროების (ე.წ. "ჩანგლების") დამატება, ან ერთის ნაცვლად რამოდენიმე ცალუღის (საკიდის) გამოყენება.	შენიშვნა მისაღებია და დაკორექტირდება ნახაზები შენიშვნის შესაბამისად.
5.	**ფურცელი კრ-12 – „მონოლითური რ/ბ სვეტების არმირების ჭრილები."** შენიშვნები იგივე ხასიათისაა, რაც შენიშვნა 3-შია მოცემული, კერძოდ: – სვეტების არმირების სქემებზე, გადაბმის ადგილებში მითითებული არმატურის ღეროების ურთიერთგადადების ზომები ოდნავ შემცირებულია. არმატურის ღეროების ურთიერთგადადებით გადაბმის დროს ურთიერთგადადების ზომა, A500c კლასის არმატურისა და B25 კლასის ბეტონის შემთხვევაში, არის: $L_{გად.}$=(0.9*4500/148+11)d=38.4d. გარდა ამისა, არმატურის ღეროების 50%-ის წანაცვლებით გადაბმის უზრუნველსაყოფად, ღეროების ნახევრისათვის ეს ზომა უნდა დაგრძელდეს 1.5-ჯერ, ანუ გახდეს 1.5*38.4d=57.6d. შესაბამისად, არმატურის ღეროების ურთიერთგადადების მცირე და დიდი ზომები იქნება: დ=25 მმ ღეროებისათვის: 960 მმ და 1440 მმ; დ=20 მმ ღეროებისათვის: 770 მმ და 1150 მმ; – შესწორების შეტანისას გაითვალისწინეთ, რომ საკიდების გახშირების ზონა (ბიჯით 100 მმ) უნდა გავრცელდეს არმატურის პირგადადებით გადაბმის მთელს მონაკვეთზე. აქედან გამომდინარე საკიდების გახშირების ზომა სვეტების ქვედა ნაწილში უნდა იყოს: დ=25 მმ ღეროებით არმირებისას–არანაკლებ 1440 მმ; დ=20 მმ ღეროებით არმირებისას–არანაკლებ 1150 მმ.	შენიშვნა გასათვალისწინებელია.
6.	**ფურცლები კრ-24 – „მონოლითური რიგელების არმირების ჭრილები." კრ-25 –"მონოლითური რიგელების არმირების კვეთები." კრ-26 –" მონოლითური რიგელების არმირების სპეციფიკაცია"**	შენიშვნა მისაღებია და გათვალისწინებული იქნება.

	ამ ფურცლებზე მექანიკური უზუსტობებით გამოწვეული შეუსაბამობებია, რომლებიც გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გასწორდეს კერძოდ: – შეუსაბამობაა მრ-7-ის ქვედა გრძივი არმატურის დიამეტრისათვის. ჭრილზე მოცემულია დ=18 მმ, კვეთზე–დ=20მმ, სპეციფიკაციაში–დ=18 მმ. შესაბამისობის აღსადგენად შეტანილ იქნას შესაბამისი შესწორება; – შეუსაბამობაა მრ-9-ის ქვედა გრძივი არმატურის დიამეტრისათვის. ჭრილზე მოცემულია დ=20 მმ, კვეთზე–დ=18 მმ, სპეციფიკაციაში–დ=18 მმ. შესაბამისობის აღსადგენად შეტანილ იქნას შესაბამისი შესწორება; – კრ-25 ფურცელზე, მარცხენა ქვედა კუთხეში მოცემული კვეთის სათაური უნდა იყოს "კვეთი 1-1 (მრ-10)", ნაცვლად მითითებული–"კვეთი 1-1 (მრ-9)"-ისა, – კრ-25 ფურცელზე, მარცხენა ქვედა ნაწილის შუაში მოცემული კვეთის სათაური უნდა იყოს "კვეთი 2-2 (მრ-10)", ნაცვლად მითითებული–"კვეთი 1-1 (მრ-10)"-ისა; – კრ-25 ფურცელზე, მაჯვენა ქვედა კუთხეში მოცემული კვეთის სათაური უნდა იყოს "კვეთი 3-3 (მრ-10)", ნაცვლად მითითებული–"კვეთი 2-2 (მრ-10)"-ისა;	
7.	**ფურცლები კრ-31 – „მონოლითური რიგელების არმირების ჭრილები." კრ-32 –"მონოლითური რიგელების არმირების კვეთები." კრ-33 –" მონოლითური რიგელების არმირების სპეციფიკაცია"** ამ ფურცლებზე მექანიკური უზუსტობებით გამოწვეული შეუსაბამობებია, რომლებიც გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გასწორდეს კერძოდ: – შეუსაბამობაა მრ-7-ის ქვედა გრძივი არმატურის დიამეტრისათვის. ჭრილზე მოცემულია დ=18 მმ, კვეთზე–დ=20მმ, სპეციფიკაციაში–დ=18 მმ. შესაბამისობის აღსადგენად შეტანილ იქნას შესაბამისი შესწორება; – შეუსაბამობაა მრ-11-ის ქვედა გრძივი არმატურის დიამეტრისათვის. ჭრილზე მოცემულია დ=18 მმ, კვეთზე–დ=20 მმ, სპეციფიკაციაში–დ=18 მმ. შესაბამისობის აღსადგენად შეტანილ იქნას შესაბამისი შესწორება;	შენიშვნა გათვალისწინებული იქნება

ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში (საჭიროებისამებრ), განხორციელებული კორექტირებები ასახულ უნდა იქნეს პროექტის სპეციფიკაციებში, მასალათა უწყისებში და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

პროექტის მთ. კონსტრუქტორი: /თ. ლაზარიაშვილი/

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0121

ადასტურებს, რომ

შპს "მშენ-ექსპერტი"-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, მიროტაძის ქ. N 6. ბინა 4

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; 2. ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა N2-ის მიხედვით); 3. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; 4. ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება; 5. სამშენებლო ობიექტის (შენობების და ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) პროექტის ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება. მათ შორის: - საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა; - არქიტექტურული ნაწილი - კონსტრუქციული ნაწილი; - საინჟინრო ქსელები: (ელ. მომარაგება 1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით, სუსტი დენები და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; - საინჟინრო ქსელები: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; - საინჟინრო ქსელები: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; - საინჟინრო ქსელები: გაზმომარაგება და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; - შრომის უსაფრთხოების ნაწილი; -სახანძრო უსაფრთხოების ნაწილი; 6. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება. (დანართი - „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
20 მარტი 2020 წ.

ძალაშია
20 მარტი 2024 წ.

ბ.ა.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“
დამამზადებელი: შპს „სოლეი“. სფს-ს რეგისტრაციის № 06-3938

შპს „მშენ-ექსპერტი“ - LTD „BUILD-EXPERT“

– ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის.: ქ. თბილისი, მიროტაძის ქუჩა №1, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 200266559

GAC – IB – 0121

სსტისო/იეკ **17020:2012/2013**

აკრედიტაციის მოწმობის №:**GAC-IB-0121**

ინსპექტირების ანგარიშის №: **FT-208/04/20-I208/1**

გაცემის თარიღი: “17” 11 2020 წელი

ინსპექტირების თარიღი: 10.11÷17.11.2020 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე №30-ში მდებარე ყოფილი ენეგერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის შენობა

ვამტკიცებ,

დირექტორი, პროფესორი _____

მ. წიქარიშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „განათლების განვითარების ჯგუფი“; ს/კ 404940695 დირექტორი: გიორგი მელაძე
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №208/04/20-I208 (10.04.2020 წ) ხელშეკრულება №C-208/04/20-I208 (10.04.2020 წ)
ინსპექტირების სფერო:	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაია ქუჩაზე №30-ში მდებარე ყოფილ „ენერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის“ შენობის ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირება

თბილისი
2020 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. გამოყენებული ხელსაწყოები 4
5. კვლევითი ნაწილი 5
6. დასკვნა 29
7. დანართი №1 30
8. დანართი №2 51

ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირებაგაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორები: ***დემური ტაბატაძე*** _____

გელა მეტრეველი _____

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება – „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
2. СП 13-102-2003 - Правила обследования несущих строительных конструкций зданий и сооружений;
3. ГОСТ 22690-88 - Бетоны. Определение прочности механическими методами неразрушающего контроля;
4. სსტ EN 12504-2, 2009;
5. ГОСТ Р 53778-2010 Здания и сооружения. Правила обследования и мониторинга технического состояния. Общие требования;
6. B-E – TP-G 03/16 – ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

გამოყენებული ხელსაწყოები

- "შმიდტი"-ს ჩაქუჩი elcometer 181 (დაკალიბრების თარიღი-27.03. 2019 წ. GE/MI/05-00485-19);
- Nikon D3100 ციფრული ფოტოაპარატი – ვიზუალური დათვალიერების ფოტოფიქსაცია;
  ლაზერული მანძილმზომი ობიექტის ზომების, ფართისა და მოცულობის აზომვა (დაკალიბრების თარიღი 24.05.2017 წელი GE/MI/01-00504-17, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო);
- ულტრასონოგრაფი Elcometer 331 BH (დაკალიბრების თარიღი – 27.03. 2019 წ. GE/MI/05-00485-19)

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირების მიზანია: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე №30-ში მდებარე ყოფილი ენერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის შენობის (საკადასტრო კოდი №01.14.05.008.279) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, შემდგომი რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის შესაძლებლობის დადგენის მიზნით.

სამუშაოთა შემადგენლობა

1. შენობის მდგომარეობის მოკლე აღწერა;
2. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური დათვალიერება;
3. მზიდი კონსტრუქციის ტიპის და მასალების დადგენა საჭირო გახსნების შესრულება, მასალური სიმტკიცის დადგენა ინსტრუმენტალურად, ურღვევი კონტროლის მეთოდების გამოყენებით, გამოვლენილი დეფექტების და დაზიანებების დაფიქსირება და ფოტოფიქსაცია.

სამშენებლო კონსტრუქციების კვლევის მეთოდი

სამშენებლო კონსტრუქციების კვლევა ხორციელდება ვიზუალურ-ტექნიკური დათვალიერების, აპარატურულ-ინსტრუმენტალური გაზომვების (შემოწმების), საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან, მთავრობის რეგლამენტებთან, სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისათვის, ინსპექტირების ორგანოს „მშენ-ექსპერტი“-ს „ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - B-E – TP-G 03/16“–ის, ГОСТ Р 53778-2010 Здания и сооружения. Правила обследования и мониторинга технического состояния. Общие требования; СП 13-102-2003 –„ Правила обследования несущих строительных конструкций зданий и сооружений”-ის მეთოდიკების დაცვით.

შენობის მოკლე აღწერა

შენობა გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომებით: 18×54 მ განლაგებულია მოსწორებულ რელიეფზე. შედგება ერთი 18 მ-იანი მალისაგან, სიმაღლე 6 მ. შენობის განაპირა სვეტებს შორის ბიჯი 6 მ-ია.

"ა-დ-1" და "ა-დ-10" ღერძის გასწვრივ განივი მიმართულებით კედელში დგას ფახვერკის სვეტები 6 მ-ბიჯით, რომელზეც შეკიდულია საკედლე შემომზღუდავი რკინაბეტონის პანელები ზომებით 6×1×0,2 მ, იატაკი მონოლითური რკინაბეტონისაა, სადაც "ა-დ" ღერძის მხრიდან, ადრე საკვლევი-საპროექტო ინსტიტუტის ფუნქციონირებისას, განლაგებული იყო სეისმური ბაქანი, ამჟამად არის ჩაღრმავებები, რომლებიც მონოლითური რკინაბეტონითაა მოწყობილი (იხილეთ ფოტოები: 1; 2).



ფოტო 1. შენობის საერთო ხედი



ფოტო 2. შენობის შიგა ხედი

1-10-ა და 1-10-დ ღერძზე, მთელ სიგრძეზე, შენობის შიგა სივრცის განათებისათვის შევსებულია შემინული ლითონის ჩარჩოებით, ამჟამად შემინული ნაწილი ჩამსხვრეულია და რიგ ადგილებში დარჩენილია მინის ფრაგმენტები, რაც ქმნის საშიშროებას იქ მყოფი ადმიანებისათვის (არსებობს მინების დარჩენილი ფრაგმენტების ჩამოვარდნის საშიშროება), აუცილებელია მუშა პროცესში შრომის უსაფრთხოების წესების განუხრელი დაცვა. შემინვის ლითონის ჩარჩოები კოროზირებულია. კვლევის მომენტისათვის, შენობის რკინაბეტონის საკედლე პანელები "1-10-ა" და "1-10-დ" ღერძების მხრიდან, ატმოსფერული ნალექების გავლენით დაზიანებულია სვეტების ბეტონის დამცავი შრე, ასევე სვეტებზე შეკიდული საკედლე პანელები (იხილეთ ფოტოები: 3; 4).



ფოტო 3. დამცავი შრის ჩამოშლა კედლის პანელზე



ფოტო 4. დამცავი შრის ჩამოშლა სვეტზე

"8-10-ა-დ" მალში შენობა ორსართულიანია, რომლის კონსტრუქციები განხორციელებულია სილიკატური აგურის და წვრილი სამშენებლო ბლოკის წყობით, შელესილია ქვიშა-ცემენტის ხსნარით. სართულშუა გადახურვა მოწყობილია ანაკრები ღრუტანიანი ფილებით, სისქით 22 სმ (იხილეთ ფოტოები: 5; 6).



ფოტო 5. სილიკატური აგურის ჩაშენება



ფოტო 6. სამშენებლო ბლოკის კედელი

კვლევის პროცესისათვის შენობის კედლები დეფორმირებულია, აღენიშნება ეროზიული უბნები და ამ სახით მისი შემდგომი ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. დამკვეთს სურს, შენობის აღნიშნული ორი სართულის დემონტაჟი, რაც ტექნიკურად შესაძლებელია. დემონტაჟის განხორციელება გავლენას არ მოახდენს ძირითადი შენობის მდგრადობაზე. დემონტაჟი უნდა განხორციელდეს დემონტაჟის პროექტის შესაბამისად.

ატმოსფერული ნალექების გავლენით დაზიანებულია გადახურვის წიბოვანი ფილები.

ვიზუალური გამოკვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი: შენობის მზიდი კონსტრუქციები, რომელიც წარმოდგენილია ანაკრები გრძივი და ნაწილობრივ განივი ჩარჩოვანი სისტემით, ანაკრები სვეტებით 40×40 სმ, წამწეებით, რკინაბეტონის გადხურვის წიბოვანი ფილებით. მათი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. სვეტებში (60-70%) დაზიანებულია დამცავი შრე, ჩანს მუშა და განივი არმატურები, წიბოებში განვითარებულია დეფორმაციები (აქვს ვერტიკალური ბზარები). გადახურვის წიბოვანი ფილების (30-40%) ქვედა მხრიდან დაზინებულია ბეტონის დამცავი შრე, ჩანს კოროზირებული მუშა არამატურები. შემომფარგლავი რკინაბეტონის კედლის პანელები ფახვერკის მალში ნორმალურია, მალებში (1-1-2; 1-1-2; 1-2-3; 1-3-4; 1-5-6 დ-1-2; დ-2-3 ; დ-4-5; დ-5-6; დ-6-; დ-7-8) ზედა რიგში დაზიანებულია კედლის რკინაბეტონის პანელები (ყველა), ქვედა რიგში დაზიანებულია 70%. სახურავი დაზიანებულია, შესასვლელის მხარეს 1-ა-ბ ღერძებში. პარაპეტის საკედლე პანელი დაზიანებულია, აქვს ბზარები და აღინიშნება ბეტონის განშრევება (იხილეთ ფოტოები: 7; 8).



ფოტო 7. განშრევება საკედლე პანელზე



ფოტო 8. დეფექტები კედლის პანელზე

1-10-ა და 1-10-დ ღერძებში არსებული რკინაბეტონის ძირითადი სვეტები და 1-ბ-გ და 10-ბ-გ ღერძებში არსებული რკინაბეტონის ფახვერკის სვეტების უმრავლესობა განიცდის ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებას. ატმოსფერული ნალექების გავლენით დაზიანებულია სვეტების ბეტონის დამცავი შრე. ცალკეული სვეტების წიბოებზე შეინიშნება ვერტიკალური ბზარები, ასევე ჩანს კოროზირებული არმატურები. ძლიერი დაზიანებები აღენიშნება 2-დ, 5-დ და 7-დ; ღერძებში არსებულ რკინაბეტონის სვეტებს და საჭიროებენ გამაგრება-გაძლიერებით ღონისძიებებს, შესაბამისად დამუშავებული გაძლიერების კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

1-2 ღერძებს შორის 2; 11; 12 რკინაბეტონის წიბოვან ფილებს, გრძივი სიხისტის წიბოებზე აღენიშნება ბზარები, ფილების ტანში არმატურის ბადეზე მოცილებულია

ბეტონის დამცავი შრე და აღინიშნება კოროზია, აგრეთვე გამოტუტვა (იხილეთ დანართი №1 სახურავის გეგმა და ფოტოები: 9; 10).



ფოტო 9. დამცავი შრის ჩამოშლა



ფოტო 10 გამოტუტვა ფილაზე

2-3 ღერძებს შორის 2; 3; 4; 5; 8; 9; 10; 11 - რკინაბეტონის წიბოვანი ფილების გრძივი სიხისტის წიბოებზე მოცილებულია ბეტონის დამცავი შრე და აღინიშნება ბზარები. 1-დ ღერძზე, ფილების ტანში, გამოტუტვა (იხილეთ დანართი №1 სახურავის გეგმა და ფოტოები: 11; 12).



ფოტო 11. დამცავი შრის ჩამოშლა გადახურვის ფილაზე



ფოტო 12. კოროზია გადხურვის ფილის არმირებულ ბადეზე

3-4-ღერძებს შორის 1; 2; 3; 4; 11; 12- რკინაბეტონის წიბოვანი ფილების, გრძივი სიხისტის წიბოებზე მოცილებულია ბეტონის დამცავი შრე და აღინიშნება ბზარები. ფილების ტანში არმატურის ბადეზე მოცილებულია დამცავი ბეტონის შრე და აღინიშნება კოროზია, გამოტუტვა (იხილეთ დანართი №1 - სახურავის გეგმა და ფოტოები: 13; 14).



ფოტო 13. კოროზია და ეროზია კონსტრუქციებზე



ფოტო 14 განშრევებული კონსტრუქციები

4-5 ღერძებს შორის რკინაბეტონის წიბოვანი ფილების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია (იხილეთ დანართი №1 სახურავის გეგმა და ფოტოები: 15; 16).



ფოტო 15. გადახურვის კვანძი



ფოტო 16. გადახურვის წიბოვანი ფილები

5-6 ღერძებს შორის 2; 10; 12 - რკინაბეტონის წიბოვანი ფილის, გრძივი სიხისტის წიბოზე, ფილის ტანში, არმატურის ბადეზე მოცილებულია ბეტონის დამცავი შრე, შეინიშნება ბზარები, კოროზია და ნაწილობრივი გამოტუტვა (იხილეთ დანართი №1 სახურავის გეგმა და ფოტოები: 17; 18).



ფოტო 17. გადახურვის ფილის კორზირებულ ეროზირებული ფრაგმენტი



ფოტო 18. დამცავი შრის გარეშე დარჩენილი არმირებული ფრაგმენტი

6-7 ღერძებს შორის 2 - ფილის გრძივი სიხისტის წიბოზე მოცილებულია ბეტონის დამცავი შრე და აღენიშნება ბზარები. არმატურის ბადეზე მოცილებულია ბეტონის დამცავი შრე აღინიშნება კოროზია და გამოტუტვა (იხილეთ დანართი №1 სახურავის გეგმა და ფოტოფიქსაცია).

7-8 ღერძებს შორის 5; 6; 10; 11; 12 რკინაბეტონის წიბოვანი ფილის გრძივი სიხისტის წიბოზე მოცილებულია დამცავი შრე და აღინიშნება ბზარები. ხუთივე ფილის ტანში არმატურის ბადეზე მოცილებულია ბეტონის დამცავი შრე და აღინიშნება კოროზია, გამოტუტვა (იხილეთ დანართი №1 გადახურვის გეგმა და ფოტოფიქსაცია).

8-9 ღერძებს შორის 2; 3; 4; 5; 6; 8; 9 რკინაბეტონის წიბოვანი ფილების გრძივი სიხისტის წიბოებზე მოცილებულია დამცავი ბეტონის შრე და აღინიშნება ბზარები. შვიდივე ფილის ტანში არმატურის ბადეზე მოცილებულია დამცავი ბეტონის შრე და აღინიშნება კოროზია და გამოტუტვა (იხილეთ დანართი №1 გადახურვის გეგმა და ფოტოფიქსაცია).

9-10 - ღერძებს შორის ყველა რკინაბეტონის წიბოვანი ფილის გრძივი სიხისტის წიბოებზე მოცილებულია დამცავი ბეტონის შრე და აღინიშნება ბზარები. ფილების ტანში არმატურის ბადეზე მოცილებულია დამცავი ბეტონის შრე აღინიშნება კოროზია და გამოტუტვა (იხილეთ დანართი №1 გადახურვის გეგმა და ფოტოფიქსაცია). შენობის მდგომარეობის და მისი შემდგომი ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის დასადგენად განხორციელდა, კონსტრუქციების ინსტრუმენტული კვლევა ურღვევი კონტროლის მეთოდებით. შემოწმდა შენობის რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციები (შენობის ინსტრუმენტალური შემოწმება ჩატარდა შერჩევის მეთოდით). გამოკვლევები ჩატარებული იქნა კვლევის ურღვევი ასხლეტვის, სკლერომეტრული და ულტრაბგერითი მეთოდების გამოყენებით, ნორმატული

დოკუმენტების ГОСТ 22690-88 (ბეტონები, სიმტკიცის განსაზღვრა ურღვევი კონტროლის მექანიკური მეთოდებით); ГОСТ 7624-87 (ბეტონები. სიმტკიცის განსაზღვრის ულტრაბგერის მეთოდი); სსტ EN 12504-2, 2009 (ბეტონის გამოცდა კონსტრუქციებში. ნაწილი 2. არამრღვევი გამოცდა); სსტ EN 15504-4, 2009 (ბეტონის ტესტირება. ულტრაბგერითი იმპულსების გავრცელების სიჩქარის განსაზღვრა) და სსტ EN 10080, 2009 (ფოლადი ბეტონის არმირებისათვის) მოთხოვნების შესაბამისად, გამოკვლეული იქნა აღნიშნული შენობის რკინაბეტონის კონსტრუქციებში ბეტონის ხარისხი, გამზომი ხელსაწყოს-სკლერომეტრი „Elcometer 181“ (დაკალიბრების თარიღი 27.03.2019 წ. GE/MI/05-00485-19) -შმიდტის ჩაქუჩით.

კვლევის დაწყებამდე ხდებოდა წინასწარ შერჩეულ ადგილებში ბეტონის ზედაპირის გაწმენდა, საიდანაც წარმოებდა ანათვლების აღება.

ჩვენს მიერ, გამოკვლეული იქნა შენობის მზიდი კონსტრუქციები ინსტრუმენტული მეთოდებით.



ფოტო 19. საკონტროლო წერტილების შერჩევა რკინაბეტონის სვეტზე



ფოტო 20. საკონტროლო წერტილების შერჩევა რკინაბეტონის საძირკველის ფრაგმენტზე



ფოტო 21 საკონტროლო წერტილების შერჩევა რკინაბეტონის სვეტზ



ფოტო 22. საკონტროლო წერტილების შერჩევა რკინაბეტონის იატაკზე



ფოტო 23. ანათვლების აღება სვეტზე



ფოტო 24. ანათვლების აღება საძირკველის ფრაგმენტზე

ბეტონის სიმტკიცის შემოწმების შედეგად მიღებული მონაცემები მოყვანილია ცხრილი №1-ში.

ცხრილი №1

N	კონსტრუქციის დასახელება	სკლერომეტრის ჩვენება-კგძ/სმ²	სკლერომეტრის ჩვენება -მგპ	ბეტონის კლასი	შენიშვნა
1	“2-1” ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	196	28	B15	მოხსნილია ბეტონის დამცავი შრე, აღინიშნება ეროზია და არმირების კოროზია
2	“2-1” ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	198	29	B15	მოხსნილია ბეტონის დამცავი შრე, აღინიშნება ეროზია და არმირების კოროზია
3	“2-1” ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	262	32	B20	შეინიშნება მცირე მექანიკური დაზიანებები წიბოზე
4	“2-1” ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	196	28	B15	შეინიშნება მცირე მექანიკური დაზიანებები წიბოზე
5	“2-1” ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	185	27	B15	შეინიშნება მცირე მექანიკური დაზიანებები წიბოზე
6	“2-1” ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	196	28	B15	შეინიშნება მცირე მექანიკური დაზიანებები წიბოზე
7	“2-1” ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	235	31	B20	შეინიშნება მცირე მექანიკური დაზიანებები წიბოზე
8	“2-1” ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	198	29	B15	შეინიშნება მცირე მექანიკური დაზიანებები წიბოზე ჯაჭვანში
9	“2-1” ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	262	32	B20	შეინიშნება მცირე მექანიკური დაზიანებები წიბოზე ჯაჭვანში

10	"2-1" ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	196	28	B15	შეინიშნება მცირე მექანიკური დაზიანებები წიბოზე ჯავშანში
11	ბ-4 რკინაბეტონის სვეტი	293	36	B22.5	შეინიშნება მცირე ეროზიული უბნები
12	ბ-4 რკინაბეტონის სვეტი	295	37	B22.5	შეინიშნება მცირე ეროზიული უბნები
13	ბ-4 რკინაბეტონის სვეტი	317	38	B25	შეინიშნება მცირე ეროზიული უბნები
14	ბ-4 რკინაბეტონის სვეტი	333	40	B25	შეინიშნება მცირე ეროზიული უბნები
16	ბ-4 რკინაბეტონის სვეტი	325	39	B25	შეინიშნება მცირე ეროზიული უბნები
17	ბ-4 რკინაბეტონის სვეტი	295	37	B22.5	შეინიშნება მცირე ეროზიული უბნები
18	ბ-4 რკინაბეტონის სვეტი	317	38	B25	შეინიშნება მცირე ეროზიული უბნები
19	სვეტი ბ-4 რკინაბეტონის სვეტი	333	40	B25	შეინიშნება მცირე ეროზიული უბნები
20	ბ-4 რკინაბეტონის სვეტი	292	35	B22.5	შეინიშნება მცირე ეროზიული უბნები
21	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	317	38	B25	დეფექტები არ აღენიშნება
22	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	292	35	B22,5	დეფექტები არ აღენიშნება
23	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	333	40	B25	დეფექტები არ აღენიშნება
24	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	293	36	B22,5	დეფექტები არ აღენიშნება
25	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	295	37	B22,5	დეფექტები არ აღენიშნება
26	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის	342	41	B25	დეფექტები არ აღენიშნება

	სვეტი				
27	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	350	42	B27.5	დეფექტები არ აღენიშნება
28	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	325	39	B25	დეფექტები არ აღენიშნება
29	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	325	39	B25	დეფექტები არ აღენიშნება
30	ბ-6 ღერძზე რკინაბეტონის სვეტი	317	38	B25	დეფექტები არ აღენიშნება
31	რკინაბეტონის საკედლე პანელები	131	18	B10	ატმოსფერული ნალექების და აგრესიული გარემოს გავლენით წლების მანძილზე აღენიშნება ეროზიული დაზიანებები
32	რკინაბეტონის საკედლე პანელები	192	25	B15	ეროზიული დაზიანება, ბეტონის დამცავი შრის მოშლა, არმირების კოროზია
33	რკინაბეტონის საკედლე პანელები	185	24	B15	ეროზიული დაზიანება, ბეტონის დამცავი შრის მოშლა, არმირების კოროზია
34	რკინაბეტონის საკედლე პანელები	146	19	B12.5	ეროზიული დაზიანება, ბეტონის დამცავი შრის მოშლა, არმირების კოროზია
35	რკინაბეტონის საკედლე პანელები	194	26	B15	ეროზიული დაზიანება, ბეტონის დამცავი შრის მოშლა, არმირების კოროზია
36	რკინაბეტონის საკედლე პანელები	130	17	B10	ეროზიული დაზიანება, ბეტონის დამცავი შრის მოშლა, არმირების კოროზია
37	რკინაბეტონის საკედლე პანელები	194	26	B15	ეროზიული დაზიანება, ბეტონის დამცავი შრის მოშლა, არმირების

					კოროზია
38	რკინაბეტონის საკედლე პანელები	192	25	B15	ეროზიული დაზიანება, ბეტონის დამცავი შრის მოშლა, არმირების კოროზია
39	რკინაბეტონის საკედლე პანელები	131	18	B10	ეროზიული დაზიანება, ბეტონის დამცავი შრის მოშლა, არმირების კოროზია
40	რკინაბეტონის საკედლე პანელები	131	18	B10	ეროზიული დაზიანება, ბეტონის დამცავი შრის მოშლა, არმირების კოროზია
41	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	333	40	B25	ხარვეზების გარეშე
42	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	294	36	B22,5	ხარვეზების გარეშე
43	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	325	39	B25	ხარვეზების გარეშე
44	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	292	35	B22,5	ხარვეზების გარეშე
45	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	294	36	B22,5	ხარვეზების გარეშე
46	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	295	37	B22,5	ხარვეზების გარეშე
47	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	292	35	B22,5	ხარვეზების გარეშე
48	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	317	38	B25	ხარვეზების გარეშე
49	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	325	39	B25	ხარვეზების გარეშე
50	საძირკვლის რკინაბეტონის მინოლითი	317	38	B25	ხარვეზების გარეშე

სამოწმებელი ანგარიში

შენობის გადაანგარიშება მოხდა ლიცენზირებული (ლიცენზიის ნომერი №2014618855) კომპლექსური კომპიუტერული პროგრამა "ЛИРА-САПР 2016"–ის საშუალებით. სამოწმებელი ანგარიში ჩატარდა რეალური მონაცემების აღების შემდეგ კონსტრუქციიდან, გეოლოგიის, საძირკვლების, გადაბმის კვანძების, ბეტონის მარკის, არმატურის კვეთების და მოსალოდნელი დატვირთვების გათვალისწინებით.

საანგარიშო მოდელის საერთო ხედი



დატვირთვები და ზემოქმედებები

შენობის კონსტრუქციებზე მოქმედი დატვირთვები კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში წარმოდგენილია სტატიკური და დინამიკური (სეისმური) დატვირთვების სახით.

სტატიკური დატვირთვები

მუდმივი დატვირთვა - მზიდი და შემომფარგვლელი კონსტრუქციების წონების საანგარიშო მნიშვნელობები გადატვირთვის კოეფიციენტების გათვალისწინებით (СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия).

თოვლის დატვირთვა - СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия-ს მიხედვით თოვლის სრული თანაბრად განაწილებული დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობა გადახურვის ჰორიზონტალურ პროექციაზე გამოითვლება ფორმულით:

$$S= S_0\mu,$$

სადაც, S_0-თოვლის დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობაა მიწის ჰორიზონტალურ ზედაპირზე და საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით (ᲡᲜ 01.05-08 "სამშენებლო კლიმატოლოგია") S_0= 0,06 ტ/მ^2 გადამყვანი კოეფიციენტია, როცა სახურავის დახრის კუთხე ნაკლებია ან ტოლი 25 გრადუსზე, მაშინ μ=1

დატვირთვების მიხედვით, საიმედობის კოფიციენტი СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия-ს მიხედვით: γ_f=1.4;

ქარის დატვირთვა - СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия-ს მიხედვით ქარის დატვირთვა განისაზღვრება როგორც ჯამი საშუალო და პულსაციური მდგენელებისა:

$$W= W_p +W_m$$

სადაც, W_p-ქარის დატვირთვის პულსაციური მდგენელია და გაანგარიშებისას არ იქნა მხედველობაში მიღებული СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия პუნქტი 6.2-ის საფუძველზე, ვინაიდან შენობის სიმაღლე არ აღემატება 40მ-ს. W-ქარის სტატიკური დატვირთვის ნორმატიული საშუალო მდგენელია და გამოითვლება ფორმულით:

$$W_m=W_0K_c,$$

სადაც, W_0 ქარის დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობაა და საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით (ᲡᲜ 01.05-08 "სამშენებლო კლიმატოლოგია").

$$W_0=0,038ტ/მ2$$

k — კოეფიციენტი ითვალისწინებს ქარის დაწნევის ცვალებადობას სიმაღლის მიხედვით.

C — აეროდინამიკურობის კოეფიციენტია (C_1=+0,8; C_2=-0,6);

დატვირთვების მიხედვით საიმედობის კოფიციენტი СНиП 2.01.07.85. Нагрузки и оздействия-ს მიხედვით: γ_f=1.4.

<u>შენიშვნა:</u> კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში ქარის დატვირთვის ზემოქმედებისას მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებში მოქმედი ძალვების

მნიშვნელობები და გადაადგილებები გაცილებით მცირეა სეისმური ზემოქმედებისას კონსტრუქციულ მზიდ ელემენტებში მოქმედ ძალვებთან და გადაადგილებებთან შედარებით, რის გამოც ქარის დატვირთვა საანგარიშო მოდელში არ არის გათვალისწინებული.

დინამიკური დატვირთვები

სეისმური დატვირთვები - შენობის დინამიკური ანგარიში 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე სპექტრული მეთოდით შესრულდა საქართველოში მოქმედი სეისმური ნორმების (პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მუდმივი დატვირთვები“ - მზიდი და შემომფარგვლელი კონსტრუქციების წონების საანგარიშო მნიშვნელობები გადატვირთვის კოეფიციენტების გათვალისწინებით (СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия).

თოვლის დატვირთვა - СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия-ს მიხედვით თოვლის სრული თანაბრად განაწილებული დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობა გადახურვის ჰორიზონტალურ პროექციაზე გამოითვლება ფორმულით:

$$S=S_0 \mu$$

სადაც, S_0 თოვლის დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობაა მიწის ჰორიზონტალურ ზედაპირზე და საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით (პნ 01.05-08 “სამშენებლო კლიმატოლოგია”). S_0=0,06ტ/მ^2 გადამყვანი კოეფიციენტია, როცა სახურავის დახრის კუთხე ნაკლებია ან ტოლი 25 გრადუსზე, დატვირთვების მიხედვით, საიმედობის კოფიციენტი СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия-ს მიხედვით: γ_f=1.4.

ქარის დატვირთვა - СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия-ს მიხედვით ქარის დატვირთვა განისაზღვრება როგორც ჯამი საშუალო და პულსაციური მდგენელებისა:

$$W= W_p + W_m$$

სადაც, W_p ქარის დატვირთვის პულსაციური მდგენელია და გაანგარიშებისას არ იქნა მხედველობაში მიღებული СНиП 2.01.07.85. Нагрузки и воздействия პუნქტი 6.2-ის საფუძველზე, ვინაიდან შენობის სიმაღლე არ აღემატება 40მ-ს. W_m-ქარის სტატიკური დატვირთვის ნორმატიული საშუალო მდგენელია და გამოითვლება ფორმულით:

$$Wm= W_0K_c$$

სადაც, W0 ქარის დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობაა და საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით (პნ 01.05-08 "სამშენებლო კლიმატოლოგია").

$$W_0=0,038ტ/მ2$$

K — კოეფიციენტი ითვალისწინებს ქარის დაწნევის ცვალებადობას სიმაღლის მიხედვით.

C — აეროდინამიკურობის კოეფიციენტია (c1=+0,8; c2=-0,6);

დატვირთვების მიხედვით საიმედობის კოფიციენტი СНиП 2.01.07.85. Нагрузки и оздействия-ს მიხედვით: γფ=1.4;

შენიშვნა: კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში ქარის დატვირთვის ზემოქმედებისას მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებში მოქმედი ძალვების მნიშვნელობები და გადაადგილებები გაცილებით მცირეა სეისმური ზემოქმედებისას კონსტრუქციულ მზიდ ელემენტებში მოქმედ ძალვებთან და გადაადგილებებთან შედარებით, რის გამოც ქარის დატვირთვა საანგარიშო მოდელში არ არის გათვალისწინებული.

დინამიკური დატვირთვები

სეისმური დატვირთვები - შენობის დინამიკური ანგარიში 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე სპექტრული მეთოდით შესრულდა საქართველოში მოქმედი სეისმური ნორმების (პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა") მოთხოვნების გათვალისწინებით:

სეისმური საშიშროების რუკა
მაქსიმალურ ჰორიზონტულ აჩქარებასა და ბალებში



შენიშვნა: აჩქარებები მოცემულია g-ს ერთეულებში

ყოველი კონკრეტული მიმართულებით k-ურ წერტილში მოქმედი, შენობა-ნაგებობების საკუთარი i-ური რხევის ტონის შესაბამისი სეისმური დატვირთვა S_{ik} განისაზღვრება ფორმულით:

$$S_{ik} = K_1 K_2 K_3 Q_k A \beta_i K_\psi K_0 \eta_{ik}$$

სადაც, K_1-კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს შენობაში დასაშვებ დაზიანებებს, კონსტრუქციის უნარს გადატანის არადრეკადი დეფორმაციები, აგრეთვე სეისმომედეგობის სხვა რეზერვებს

K_2-კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობების კონსტრუქციულ გადაწყვეტას

K_3 – შენობა-ნაგებობების მნიშვნელობის კოეფიციენტი

სადაც, Q_k არის შენობა-ნაგებობების K-ურ წერტილზე მოსული წონა, რომელიც განისაზღვრება ამავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საანგარიშო დატვირთვების გათვალისწინებით

A – სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი, რომელიც უტოლდება მოცემული დასახლებული პუნქტისათვის (ნახ. 1): გრუნტის საანგარიშო აჩქარების შეფარდებას თავისუფალი ვარდნის აჩქარებასთან.

β_i - შენობა-ნაგებობების საკუთარი რხევის i-ური ტონის შესაბამისი დინამიკურობის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება, ფორმულებით ან გრაფიკით (ნახ. 2);

K_ψ - კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება ცხრილებით

K_0 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გრუნტის არაწრფივ დეფორმირებას

η_{ik} - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია შენობა-ნაგებობების საკუთარი რხევის დროს i-ური ტონის შესაბამისი დეფორმაციის სახეზე და დატვირთვის ადგილმდებარეობაზე.





ნახ. 2.

სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით ძალვების განსაკუთრებული თანწყობისას საანგარიშო დატვირთვების თანწყობის კოეფიციენტები:

დატვირთვათა სახეობები	თანწყობის კოეფიციენტის მნიშვნელობა
მუდმივი	0,9
დროებითი ხანგრძლივი (გადახურვებზე)	0,8
დროებითი ხანმოკლე (გადახურვებზე და საფარზე)	0,5

საანგარიშო სქემაში გამოყენებულია შემდეგი სიხისტეები:

Таблица жесткостей

Тип жесткости	Имя	Параметры (сечения-(см) жесткости-(т,м) расп.вес-(т,м))
1	Брус 40 X 40 (kolona)	Ro=2.75,E=3e+006,GF=0
		B=40,H=40
2	Брус 15 X 15 (iribana)	Ro=2.75,E=3e+006,GF=0
		B=15,H=15
3	Брус 25 X 25 (zeda sartyeli)	Ro=2.75,E=3e+006,GF=0
		B=25,H=25
4	Брус 30 X 25 (qveda sartyeli)	Ro=2.75,E=3e+006,GF=0
		B=30,H=25
5		
6	Брус 5 X 15 (gero)	Ro=2.75,E=3e+006,GF=0
		B=5,H=15
7	Пластина H 10 (fila)	E=3e+006,V=0,H=10,Ro=2.75
8	Брус 100 X 140 (sadzirkveli)	Ro=2.75,E=3e+006,GF=0
		B=100,H=140

შენობის გაანგარიშება მოხდა დატვირთვებისა და ძალვების შეთანხმებით

დეფორმაცია X მიმართულებით







დეფორმაცია Y მიმართულებით









დეფორმაცია Z მიმართულებით







სეისმური ზემოქმედების ანალიზი

გადაადგილებები X მიმართულებით









გადაადგილებები Y მიმართულებით





მოდალური ანალიზის შედეგები

		Частоты					
№ формы	Собст.значения	Круг.частота (рад/с)	Частота (Гц)	Период (с)	Коэф.распред.	Мод.масса (%)	Сумма мод.масс (%)
1	0,026	38,990	6,205	0,161	- 0,980	0,037	0,037
2	0,021	47,320	7,531	0,133	1,105	3,849	3,887
3	0,020	50,473	8,033	0,124	- 0,005	0,000	3,887
4	0,020	51,263	8,159	0,123	- 0,002	0,000	3,887
5	0,019	51,575	8,208	0,122	- 0,001	0,000	3,887
6	0,018	56,115	8,931	0,112	0,001	0,000	3,887
7	0,017	58,235	9,268	0,108	0,090	0,000	3,887
8	0,015	66,650	10,608	0,094	0,120	0,028	3,915
9	0,013	75,741	12,055	0,083	0,001	0,000	3,915
10	0,013	75,744	12,055	0,083	0,007	0,000	3,915
11	0,013	75,744	12,055	0,083	0,014	0,001	3,916

კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები:

1. შენობის საძირკვლები ლენტური ტიპისაა, მოწყობილია ბეტონით. საძირკვლები 1,0 მ სიგანისაა, ჩაღრმავებულია მიწის ზედაპირიდან 1,7-2,3 მ-ის სიღრმემდე, კლდოვან ქანებში. შენობის სვეტებზე, ფერმებზე, დეფორმაციული ბზარები არ აღინიშნება;
2. შენობის გადახურვის ფილები (1-2 ღერძებს შორის 2, 11, 12, 2-3 ღერძებს შორის 2; 3; 4; 5; 8; 9; 10; 11; 3-4 ღერძებს შორის 1; 2; 3; 4; 11;1 2, 5-6 ღერძებს შორის 2; 10;12 6-7 ღერძებს შორის 2; 7-8 ღერძებს შორის 5,6,10;11;12; 8-9 ღერძებს შორის 2; 3; 4; 5; 6; 8; 9 9-10 ღერძებს შორის ყველა ფილა. იხილეთ კვლევითი ნაწილი და დანართი №1, ნახაზი სახურავის წიბოვანი ფილების გეგმა) უნდა გაძლიერდეს ან განხორციელდეს დემონტაჟი შესაბამისი ორგანიზაციის პროექტის მიხედვით; ყველა საკედლე პანელი დაზიანებულია, საჭიროა მათი დემონტაჟი;
3. დაზიანებული სვეტები (სვეტები: 1-A; 2-A; 3-A; 4-A;5-A; 6-A;7-A; 8-A; 9-A; 10-A; 1-B; 1-G; 1-D; 2-D; 3-D; 4-D;5-D; 6-D; იხილეთ ცხრილი №1) უნდა შეივსოს მაღალი მარკის ქვიშა-ცემენტის წყალხსნარით, გაშიშვლებული არმატურის ბადის ანტიკოროზიული დამუშავების შემდეგ, სვეტებს, რომელთაც აქვთ გარე შრის ბზარები უნდა მოცილდეს დაზიანებული ფენა და უნდა შეივსოს მაღალი მარკის ქვიშა-ცემენტის წყალხსნარით; ძლიერ დაზიანებულ (2-დ, 5-დ და 7-დ ღერძებში არსებული რკინაბეტონის სვეტები უნდა გაძლიერდეს შესაბამისად დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის საფუძველზე (სვეტების დაზიანებები იხილეთ ცხრილი №1);
4. სვეტებს შორის ვერტიკალური კავშირების დაყენება აუცილებელია, შესაბამისი პროექტის კონსტრუქტორის გათვალისწინებით;
5. წამწე №8-ს ზედა სარტყელში აქვს ბზარები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ფერმის არასწორი დატვირთვით. წამწეს აქვს განშრევადობა, ატმოსფერული ნალექის გავლენით. ასეთივე განშრევადობა აღენიშნება №9-ს აქვს განშრევება ატმოსფერული ნალექების გავლენით;
